



საქართველო

20

ოქტომბერი
1990

რომან მიმინოშვილი

წყევამაინ — არა წყევამაინა?!

საქართველოს სახალხო დეპუტატთა
კრილოზის სტანოგრაფიული ანგარიში

სხდომას თავმჯდომარეობს მუშნი ზარანდია.

თავმჯდომარე: გთხოვთ, დასხდეთ, ამხანაგებო! უნდა განვიხილოთ კანონპროექტი: „საქართველოდან საბჭოთა კავშირის გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესების შესახებ“. თქვენ დაგირიგდათ კანონპროექტის ტექსტი! როგორი იქნება აზრი? ვფიქრობთ, სიტყვა მივცეთ კომისიის თავმჯდომარეს ბარნაბა საგანელიძეს და შემდგომ გადავიდეთ განხილვაზე!.. თქვენ პროცედურასთან დაკავშირებით გაქვთ შენიშვნა? ჩართეთ მეშვიდე მიკროფონი!

კაკო ბლაჭიაშვილი: ბლაჭიაშვილი, სამოცდამეფრამეტე ნაციონალურ-ტერიტორიული ოლქი. პატივცემულ თვამჯდომარე, პატივცემულ სახალხო დეპუტატებო! მეთხუთმეტე მუხლში წერია, რომ „საქართველომ უნებლად დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და შემოიერთა რუსეთი“. ამას უნდა დაემატოს „მარიამ დედოფლის მანიფესტის ძალით შემოიერთა“.

თავმჯდომარე: აკაკიოპ ქიტესოვიჩ! ეს უკვე პოლემიკა გამოდის! ჩვენ შემდეგ მოგცემთ სიტყვას და თქვენს შენიშვნას გავითვალისწინებთ! პროცედურასთან დაკავშირებით კიდევ არის შენიშვნა? მესამე მიკროფონი!

სპირიდონ მცირიშვილი: მცირიშვილი, ას მეოთხე ტერიტორიული ოლქი. დიდად პატივცემულ თვამჯდომარე, დიდად ამხანაგო დეპუტატებო! მე ჩემი ამომრჩევლებისა და დიდი ჯიხაიშის დელეგაციის სახელით პროტესტს ვაცხადებ სახალხო დეპუტატის ტარიელ მკლავაძის არაეთაყური საქციელის გამო: ფეხი დამაჭირა და ჩემგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს, ჩემს ტერიტორიაზე გედგა ფეხიო! ჩვენ უნდა გვანსოვდეს, რომ ჩვენს ზურგს უკან ამომრჩევლები დგანან! რა პასუხი გავცე მე ჩემს სამას ოთხმოცდაშვიდ ამომრჩეველს?

თავმჯდომარე: კარგით, გასაგებია! ვსიო ნორმალნი! პროცედურასთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ არის? დავიწყეთ, ბარნაბა აფრასიონოვიჩ!

ბარნაბა საგანელიძე: ჩვენმა კომისიამ საქართველოდან საბჭოთა კავშირის გამოყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის წესების შესახებ კანონპროექტის პირველი წინადადებების შემდეგ გაითვალისწინა ყრილობაზე გამოთქმული შენიშვნები და თქვენს სამსჯავროზე, პატივცემულ სახალხო დეპუტატებო,


წარმოადგინა შესწორებული და შევსებული ვარიანტი. როგორც გახსოვთ, სახალხო დეპუტატმა კვაჭი კვაჭანტირაძემ შემოიტანა ასეთი შესწორება: კანონის პრეამბულაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ საქართველომ 1801 წელს, დაარღვია რა გეორგიევსკის ტრაქტატი, შემოიერთა რუსეთი, ხოლო შემდეგ, 1921 წელს, საქართველომ ხელმეორედ დაარღვია საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება და კვლავ შემოიერთა რუსეთი! 1922 წლის დეკემბერში კი რატომღაც უწოდა მას საბჭოთა კავშირი! კომისიამ არ გაიზიარა ეს მოსაზრება იმის გამო, რომ ამაზე კანონში ცალკე მუხლია და მისი განმეორება პრეამბულაში არ ღირს. თქვენს ყურადღებას მივაქცევ კანონპროექტის მეორე და მესამე მუხლებს, სადაც არის ლაბარაკი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის გამოყოფა საქართველოდან ხდება რეფერენდუმის საშუალებით. აქ იყო ნათქვამი, რომ რეფერენდუმები ტარდება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, აგრეთვე ავტონომიურ ფორმირებებში. ამას ახლა დავმატა კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები, მაგალითად, თუ ნიაგრუზინსკიაში ან პლასტუნკაში მცხოვრებმა ქართველებმა არ მოისურვეს საქართველოდან გამოყოფა, ეს ტერიტორიები უნდა შეუერთდეს საქართველოს! ამ საკითხთან დაკავშირებით სახალხო დეპუტატმა ლამაზისეულმა თათქარიძეების ოჯახის სახელით შემოიტანა წინადადება, რომ შორეული ბამის სადგურის ნიაგრუზინსკიას საქართველოსთან შესაერთებლად საჭიროა მოხდეს მათ შორის არსებული ტერიტორიის შეკუმშვა! ჩვენ ბევრი ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, მოვიწვიეთ ექსპერტები და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვიდრე არ იქნება გამოგონებული ტერიტორიების შემკუმშავი წნეხი, ეს საკითხი გადაიდოს! ამჟამად ამ გამოგონებაზე მუშაობს სპეციალისტთა ჯგუფი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მეთაურობით! მე დავამთავრე!

თავმჯდომარე: ამხანაგებო! რეგლამენტის თანახმად ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ განხილვაზე. შეკითხვები, გთხოვთ, გადასცეთ ამხანაგ ბარნაბა საგანელიძეს წერილობით. სხვა აზრი ხომ არ არის? არა! გადავდივართ კამათზე. მანამდე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩაწერილია რვაას სამოცდახუთი ამხანაგი. ჩვენ კი დავგერჩა სულ ორმოცდახუთი წუთი! მოდი, მივცეთ საშუალება დეპუტატებს, ერთმანეთს დაერიონ და მუშტიკრივში გამარჯვებულებს დავუთმობ ტრიბუნა! მანამდე



შეგვიძლია ხუთ-ექვს ორატორს მოვუსმინოთ სიის მიხედვით. მე წაგებთხავეთ სიას: გლახა ჭრიაშვილი, იერემია წარბა, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, გოგია უიშვილი, სოლომონ მორბელაძე, ყვარყვარე თუთაბერი და კომბლე! საერთოდ კი სიაში, როგორც მოგახსენეთ, რვაას სამოცდასუთი ამხანაგია! თქვენ პროცედურასთან დაკავშირებით გაქვთ სიტყვა? ჩართეთ მეთორმეტე მიკროფონი!

დათა თუთაშხია: დათა თუთაშხია, ლესიჭინეს ას სამოცდასუთიდე საარჩევნო ოლქი. ბევრი ვიფიქრე ამბზე მე: არ ვარა ეს! რატომაა, რომ საქართველოდან საბჭოთა კავშირის გასასვლელად გარდამავალი პერიოდი მართო ხუთი წელია? ჩვენ აქ ყველანი უკვდავები ვართ



და ხუთი საუკუნე მაინც არ უნდა მივცეთ საბჭოთა კავშირის მოსაფიქრებლად? ასეა ეს:

თავმჯდომარე: ამხანაგო თუთაშხია! მე თქვენ სიტყვა მხოლოდ პროცედურასთან დაკავშირებით მოგეცით!..

რაფა სარჩიშვილი: პროცედურის და თქვენი დედა!.. (არ იხმის).

თავმჯდომარე: გადავდივართ კამათზე! სიტყვა ეძლევა. სახალხო დეპუტატს გლახა ჭრიაშვილს, მოემზადება იერემია წარბა!

გლახა ჭრიაშვილი: პატივცემულო სახალხო დეპუტატებო!

ხმა დარბაზიდან: რეგლამენტი!

თავმჯდომარე: ჯერ არ დაუწყია, ამხანაგებო!

ხმა დარბაზიდან: რომ დაიწყებს, მერე შენ გაჩერებ?!.

გლახა ჭრიაშვილი: პატივცემულო სახალხო დეპუტატებო!

ხმა დარბაზიდან: ეგ ხომ თქვი უკვე?!

გლახა ჭრიაშვილი: რაღა ბევრი გავაგრძელო, ვაგიგრძელებთ სიცოცხლეს!..

ხმა დარბაზიდან: რეგლამენტი!

თავმჯდომარე: თქვენი რეგლამენტი ამოწურულია, ამხანაგო ჭრიაშვილი!

გლახა ჭრიაშვილი: გამადლობთ ყურადღებისათვის!

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა იერემია წარბას — „გრუხსიაბანდმრეწვის“ თავმჯდომარეს. მოემზადება სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი!

იერემია წარბა: ამხანაგებო! წარმოდგენილი პროექტი ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. მართლაც, რანსწინდეს რეფერენდუმის მონაწილეთა ორი მესამედის ნებისმიერ ხედვით. გადაწყვეტილების მიღება?! ..რა ქნას დანარჩენმა ერთმა მესამედმა?! ამიტომ გამოყოფის საკითხი უნდა გადაწყდეს კენჭისყრის მონაწილეთა ასი პროცენტის სურვილით! ამის შემდეგაც, ყოველწლიურად უნდა მოეწყოს კენჭისყრა, რადგან იზრდება მომავალი თაობა, რომელსაც რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიუღია! ახლა მეორე საკითხი. პატივცემულო თავმჯდომარე, რამდენი წუთი დამჩნა?

თავმჯდომარე: კიდევ ორ-წუთი დავჩნათ!


იერემია წარბა: მაინც მე თეზისურად ჩამოვაყალიბებ ჩემს მოსახრებებს. პროექტი ლაპარაკია, რომ რეფერენდუმს ცალკე ატარებენ კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები. ესეც ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებს.

მართლაც, რა დააშავა ცალკეულმა ოჯახმა, რომელიც შეიძლება სხვა ეთნიკურ გარემოში ცხოვრობდეს? უფრო მეტიც, რა დააშავა ოჯახის ცალკეულმა წევრმა. თუ იგი სხვა ეთნოსს ეკუთვნის? ამიტომ მე წინადადება შემომიპაუეს, რეფერენდუმი იყოს სახელობითი და ყოველმა მოქალაქემ თვითონ გადაწყვიტოს, დარჩეს გამოყოფილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, თუ შეუერთდეს საქართველოს! ასე რომ, ამხანაგ ალიბანოვა-ავარსკის. გამომგონებელთა ჯგუფს მოუწევს ტერიტორიების შემკუმშავი წნეხის გაკეთება არა გეოგრაფიული პუნქტების, არამედ ოჯახების მიხედვით! გამადლობთ ყურადღებისათვის!

თავმჯდომარე: გამადლობთ, ამხანაგო წარბა! სიტყვა ეძლევა სახალხო დეპუტატს მეჯღანუაშვილს, სოლომონ ისაკიჩს, კაპიტალისტიური შრომის გამირს! მოემზადება დეპუტატი გოგია უიშვილი!

მეჯღანუაშვილი: ამხანაგო დეპუტატებო! მე, როგორც ფულის ყადრის მკოდნე ადამიანი, შევეხები საკითხის ეკონომიკურ და ფინანსურ მხარეებს. კერძოდ, კანონპროექტის მეჩვიდმეტე და მეთხუთმეტე მუხლებს. მეჩვიდმეტე მუხლის თანახმად, საბჭოთა კავშირმა საქართველოდან გამოყოფის შემთხვევაში უნდა გადაუხადოს მას კომპენსაცია საქართველოს მიერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აშენებული და დახერგილი შრეწველობის საბაზო დარგების, კოსმოსური გამოკვლევების, ენერგეტიკის, ტრანსპორტის ყველა სახეობის, თავდაცვის, ფინანსურ-საკრედიტო სისტემის, საზოგადოებრივი და სხვა დაწესებულებების გამო. მართლაც, ცნობილია, რომ ეს ყველაფერი ქართველო სპეციალისტების მონაწილეობით მოხდა, გამოყენებული იყო საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მართო ქართული ჩაიც კმარა. ეგ რომ არ ყოფილიყო, კომუნისმის დიადი მშენებლობები ხომ ვეღარ განხორციელდებოდა, რადგან წლების მანძილზე მშენებლებს პურისა და ჩაის გარდა სხვა საჭმელი არ ჰქონდათ! ჩაი რომ არ ყოფილიყო, ვერც განვითარებული სოციალიზმის ფაზაში შევიდოდნენ და ვერც ჰუმანური და დემოკრატიული სოციალიზმის აშენებას დაიწყებდნენ კომუნისტური პერსპექტივებით ვაცისკროვნებულს. მე მხარს ვუჭერ აგრეთვე

მეთხოვეთე მუხლს: იმ მოქალაქეებს, რომელნიც საქართველოდან გამოყოფას არ მოისურვებენ, საბჭოთა კავშირმა უნდა გადაუხადოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მათ მიერ დატოვებული ბინის და სხვა ქონების საფასური, შეუძინოს საქართველოში ბინა, უშოვოს სამუშაო და თვითონ უხადოს ხელფასი და შემდეგ პენსია, რადგან დატოვებული ბინით შესრულდება საბინაო პროგრამა საბჭოთა კავშირში ორი ათასი წლისათვის და, რაც მთავარია, ქვეყანა განთავისუფლდება იმ უფარგისი პროდუქციისაგან, რასაც უშვებდა ყოფილი საბჭოთა მოქალაქე. ეს თანხა საბჭოთა კავშირმა უშუალოდ უნდა გაიღოს, რათა ღმერთი არ გაუწყრეს და ყოფილი მოქალაქე უკან არ დაუბრუნდეს! მე მოგიწოდებთ, ამხანაგო დეპუტატებო, მხარი დაუჭიროთ ამ კანონპროექტს, რადგან ჩემს ცხოვრებაში ფულის შოვნის მეტი რა მიკეთებია, მაგრამ ადამიანის თავისუფლებით ასეთი ვაჭრობა თუ შეიძლებოდა, აქამდე ვერც წარმომედგინა!



თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა დეპუტატ გოგია უიშვილს, მოემზადება სოლომონ მორბელაძე!

გოგია უიშვილი: გოგია უიშვილი, სუფსის ას სამოცდამეთხოვეთე ნაციონალურ-ტერიტორიული ოლქიდან. მე და სახალხო დეპუტატებმა კაცია მუნჯაძემ, დავით დროიძემ, მოსე მწერალმა, ჩვენი ამომრჩეველების სახელით, რომელნიც ახლა გარეთ გვიცილიან და მოუთმენლად ჩვენს პასუხს ელოდებიან, კომისიას წარვუდგინეთ წინადადებები, მაგრამ მან რატომღაც ყურიც არ შეიბერტყა. კანონპროექტის თანახმად (მუხლი მეცხრე) რეფერენდუმის შემდეგ ცხადდება ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი. მე მხარს ვუჭერ ამხანაგ დათა თუთაშხიას წინადადებას, რომ ეს ვადა არ არის საკმარისი, მაგრამ ხუთი საუკუნე მაინც ნამეტანია! ვფიქრობთ, ოთხასი წელი სავსებით საკმარისი იქნება, რომ საბჭოთა კავშირმა კარგად მოიფიქროს, მართლა უნდა თუ არა საქართველოდან გასვლა! სავსებით ვეთანხმებით მეცხრე მუხლის იმ დებულებასაც, რომ გარდამავალი პერიოდის დროს საბჭოთა კავშირში მოქმედებს საქართველოს კონსტიტუცია და კანონები და მეთერთმეტე მუხლსაც, რომელიც გულისხმობს ამ პერიოდში კომი-

სიის მოქმედებას. მაგრამ კატეგორიულად წინააღმდეგ ვარ, მას ეწოდებოდეს „შემთანხმებელი კომისია“. რა გვაქვს, ყაძახო, შესათანხმებელი?! ეს კომისია უნდა იყოს საგანგებო კომისიისათვის, ერთ დროს ჩუქურბაძე „ჩრე ზვიჩაინაია კომისიას“ და მოფერებით „ჩეკას“ რომ ეძახოდნენ, ისეთი. ამ კომისიამ საქართველოს კანონების გამოყენებით (კიდევ უარეს კანონებს გამოვიგონებთ!) უნდა საბჭოთა კავშირი დაათვალიეროს (ამ სიტყვის არა უროლოგიური, არამედ გურული გაგებით). გთხოვთ, მხარი დაუჭიროთ ამ წინადადებას! გამადლობთ ყურადღებისათვის!

თავმჯდომარე: სიტყვა ეძლევა დეპუტატ სოლომონ მორბელაძეს, მაჰანკალთა კონცერნის გენერალურ დირექტორს, მოემზადება ყვარყვარე თუთაბერი!

სოლომონ მორბელაძე: ამხანაგებო! მე როგორც პროფესიონალი სპეციალისტი ქორწინების, განქორწინებისა და ხელშეკრულებების საქმეში, პროტესტს ვაცხადებ ამხანაგ გოგია უიშვილის გამოსვლის გამო! რა იცის ამ გლეხუჭამ, მე, აზნაურშვილს, ჭკუას რომ მასწავლის და ჩემს წინადადებას მხარი დოუჭირეო, რომ მეუბნება?! მაგან, შენ ხარ ჩემი ბატონი. შეცდომაში შეიყვანა მთელი კაცობრიობა! — გაჭირვებული გლეხი ვარო, კალანდობაზე გოჭის, ქათმებისა და ხაჭაპურის მეტი არაფერი მქონდაო და თავი მეიკლა! თუ გახსოვთ, თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, ხაჭაპურის გემო? მაგრამ რომელი თქვენგანი იკლავს თავს?

თავმჯდომარე: ამხანაგო მორბელაძე, თემას ნუ გადაუხვიეთ! (თავმჯდომარეს ნერწყვი გადასცდა და ხველა აუვარდა. დარბაზში ხმაური.)

სოლომონ მორბელაძე: ახლავე გადმოვუხვევ, ჩემო ბატონო! ისე, კაცმა რომ თქვას, ძალიან შორს კი არ გადამიხვევია, იმავე ორღობეში ვარ ჯერე, საცა ვიყავი, ამ ორღობის ერთ მხარეს საქართველოა და მეორე მხარეს საბჭოთა კავშირი. საით მიდის ახლა ეს ორღობე, ამას ნუ მკითხავთ, თუ ღმერთი გწამთ, ყოველ შემთხვევაში, ხაჭაპურთან რომ ვერ მიგვიყვანს, თუ რამე არ ვისაშველეთ, ცხადია!

თავმჯდომარე: შე კაცო, მოეშვი ამ ხაჭაპურს, გავთავდი კაცი!

სოლომონ მორბელაძე: ძალიან გთხოვთ, ბატონო ჩემო, სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ, ახლა საქმეზე ვლაპარაკობ მე! კანონპროექტის მეცხრამეტე მუხლში წერია, რომე გარდამავალი პერიოდის დამთავრების შემდეგ ხელშეკრულებები უნდა ჩატარდეს რეფერენდუმში. ამ მუხლს მე ვიზიარებ. ჩემი პროფესიული გამოცდილებიდან გამომდინარე, წარმომიდგენია, რა სასარგებლო იქნება ეს შემთანხმებელი კომისიისათვის, ანუ მაჰანკლისათვის, მაშვალს რომ ეძახიან ჩვენში. ორჯერ რომ მოგცემენ სამაშვლო ფულს და ზედ ხარის ტყავსაც დაურთავენ, რა სჯობია ამას, იარე მერე „დუბლიონკებში“ და იყავი არხენად! მარა, ბოშო, ამ სოციალისტური მაშვლების ამბავი რომ ვიცი, ისე ამოართმევენ ამასობაში სულს საბჭოთა კავშირს, რომ ხარის ტყავი კი არა, საკუთარი ტყავი აღარ შერჩება და საქართველოდან გამოყოფის თავი ექნება? გამადლობთ ყურადღებისათვის!

თავმჯდომარე: ამხანაგმა ყვარყვარე თუთაბერი-

მა განცხადება გადმომცა და ნება მიბოძეთ, წაგიკითხოთ: პატივცემულ ამხანაგო ბატონო თავმჯდომარე! უარს ვამბობ განხილვაში მონაწილეობაზე, რადგან ვერ გავიგე, ვადის თუ არა საბჭოთა კავშირი საქართველოს შემადგენლობიდან? თქვენ ჩემი ხასიათი იცით: მზად ვარ ერთგულად ვემსახურო ყოველგვარ პარტიას და ყოველგვარ სახელმწიფოს! თქვენ გადაწყვიტეთ, როგორც გინდათ და, მიგულეთ თქვენთან ერთად! პატივისცემით ყვარყვარე თუთაბერი (ხანგრძლივი ტაში). ამრიგად, ამხანაგი ყვარყვარე უარს ამბობს გამოსვლაზე და ამიტომ სიტყვას ვაძლევ დეპუტატ კომბლეს, ფეოდალისტური შრომის გმირს.

კომბლე: პატივცემულო დეპუტატებო! პირდაპირ აღფრთოვანებული ვარ კანონპროექტის ავტორთა მათემატიკური განათლებით. მოგეხსენებათ, გლეხის ბიჭი გახლავართ და კომბლის მეტი არა მაბაღია რა. მაგრამ იმდენი მაინც ვიცი, რომ ორჯერ ხუთი ათია. ძალიან ბევრი ვიფიქრე, რატომ არის, რომ კანონპროექტის მეცხრე მუხლის თანახმად, რეფერენდუმის წესით საქართველოდან საბჭოთა კავშირის გამოყოფა რომ გადაწყდება, შემდეგ ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი ინიშნება და ამას ხუთი წლის შემდეგ მეორე რეფერენდუმი მოსდევს, მაგრამ თუ რეფერენდუმი გავსვას არ გადაწყვეტს, მეთე მუხლის თანახმად მეორე რეფერენდუმი ამავე საკითხზე მხოლოდ ათი წლის შემდეგ შეიძლება ჩატარდეს? დიდი ხნის ფიქრის შემდეგ მივხვდი: ეს იმიტომ ხდება, რომ ხუთჯერ ორი ათია! ის კი ვერაფრით გავიგე, რატომ ამრავლებენ ხუთს ორზე და არა სამზე ან ოთხზე? ნუთუ კომისიის წევრებიც კომბლეები არიან და ჩემსავით უჭირთ ანგარიში? მე არ ვიცი, ხუთი რამდენზე უნდა გავამრავლოთ, რომ მივიღოთ ორმოცდასამი, მაგრამ ვფიქრობ: მეორე რეფერენდუმი სჯობია ორმოცდასამი წლის შემდეგ ჩავატაროთ, რადგან პირველი რეფერენდუმის მონაწილეთა დიდი ნაწილი დაიხოცება და კენჭისყრით უფრო სასურველ შედეგს მივიღებთ, ვიდრე ათი წლის შემდეგ. თუ ეს წინადადება არ მოგწონთ, მაშინ სჯობია გავიზიაროთ ამხანაგ დათა თუთაშხიას მოსაზრება და გარდამავალი პერიოდი გავზარდოთ, რათა არ იყოს შეუსაბამობა მეორე რეფერენდუმის ჩატარების დროს. გამოდის, რომ ჩვენ ვსჯით საბჭოთა კავშირს, რომელსაც პირველმა რეფერენდუმმა არ გაუშართლა და ორმაგ ვადას ვაძლევთ. დასჯის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ამისთვის კომბლეებიც საკმარისია! ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კი სჯობია, გარდამავალი პერიოდი იყოს საერთოდ სამარადისო, რომ მეორე რეფერენდუმის ჩატარება არც ხუთ, არც ათ წელიწადში და საერთოდ აღარ დაგვჭირდეს! სულ იყოს საბჭოთა კავშირი გარდამავალ პერიოდში!

თავმჯდომარე: თქვენ დაამთავრეთ?

კომბლე: მე კი დავამთავრე, მაგრამ თქვენ დაამთავრეთ? (გამოცოცხლება დარბაზში).

თავმჯდომარე: ამხანაგო დეპუტატებო! სამუშაო რეგლამენტის მიხედვით დრო ამოიწურა. ახლა მოვილაპარაკოთ, პოსოვეტუემსია, ობსუდიმ, განვავრძოთ განხილვა, თუ გადავიდეთ კენჭისყრაზე?

ხმები დარბაზიდან: არა!


თავმჯდომარე: რა „არა“? არ განვავრძოთ განხილვა, თუ არ ვუყაროთ კენჭი?

ხმები დარბაზიდან: არა!

თავმჯდომარე: ამრიგად, განხილვა შეწყვეტილია. კამათში ჩაწერილ ამხანაგებს შეუძლიათ გადასცენ ტექსტი ყრილობის სამდივნოს. გადავიდეთ კენჭისყრაზე. ვინ არის მომხრე, მივიღოთ კანონპროექტი აქ გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით? წინა-

აღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? მომხრეა ხუთი ათას ოთხასსამოცდასამი, წინააღმდეგი ას სამოცდათხუთმეტი, თავი შეიკავა სამოცდასამმა დეპუტატმა. ამრიგად, კანონპროექტი მიღებულია (ხანგრძლივი ტაში).

რედაქციის შენიშვნა: ახლა ვნახოთ, ამ კანონის მიღების შემდეგ გავა თუ არა საბჭოთა კავშირი საქართველოს შემადგენლობიდან? დრო საკმარისად გვაქვს! ვინ იცის, კიდევ რამდენი ათასწლეული უწერია სიცოცხლე კაცობრიობას! ვიმარჩიელოთ პატარა გოგონებივით, ვბუტოთ აკაციის ფოთლები: ვუყვარვარ — არ ვუყვარვარ?! გავა — არ გავა?!



ილუსტრაციები ჯემალ ლოლუასი

ნახ. ბ. ზუბაზვილინსა



ყ.გ.

ქვეყანაში
აიბღვრა წყალი,
წველო, იქნებან თქროს
თევზი დავიჭირო!

ნ.ბ. მ. აბაშიძისა



სამოცდაათი წელი

სამოცდაათი წელი კომუნიზმის ძიების, ხალხის სისხლით დამთვრალი მატყუარა ძიების! რწმენის გალატაკება, წგრევა ეკლესიების, პროსკრიპციად დაგზავნა ერის შვილთა სიების! სამოცდაათი წელი სულიერი ძარცვის, ყალბი დაპირებებით მონად ქცევა ხალხის! კანიბალი მედროვის კაცის ხორციით ძღობის, სიმბოლოდ გადაქცევა ეკლიანი ღობის! მოკვლა, ჩატუსაღება სიყვარულის რჩევის, იდეად ამაღლება მანიაკის ჩვევის, სამოცდაათი წელი სისხლისა და ცრემლის, სამოცდაათი წელი გაჩენის დღის წყევლის! ბუზებივით დახოცვა ხალხის, ბევრზე ბევრის, ნაჲ გრძნობებზე ტრიალი ჯოჯოხეთის კევრის!

მართლის მთქმელთა მოსპობა ღადართ და შანთით, „ურჩთა“ დატუსაღება ფსიქიატრთა ხლართით! ცრუ წესრიგით სუყველას დამნაშავედ ქცევა, ხალი აზრის ართქმისთვის მძევლის კვართის ცმევა! მათხოვრული ხელფასით მშრომელების ძარცვა, მცირეს გაპანდურება, დიდი ქურდის დაცვა! ძალადობის სამთავროს მუშუტის ქნევით მართვა, პრეზიდენტში ჯდომა ბოროტთა და ავთა! მეთაურთა სიტყვიდან დაცილება საქმის, შედეგად კი გაქრობა საპნისა და შაქრის! სამოცდაათი წელი სულიერი განრწნის! კომუნიზმის აჩრდილი სამათხოვროდ დაძრწის!

გივი სომხიშვილი

პირივენი კულტის ეპოქაში კუტივით რომ ედგენ თანამედროვე საეარძელზე. თვითონ რომ ღორბოდი და ღორების კოლტზე კოლტით ნადირობდი. თავს რომ გეხვია მკრეხელები და მხოლოდ ტაშის ცემისაგან გტკიოდა ეგ ხელები. კულტურას რომ უკულტუროდ მესვეურობდი და კადრების კულტივაციას ოვაციით ხვედობდი. სხვებს რომ მაგადან-ვორკუტაში აგზავნიდი. შენ კი ტურისტად მადავასკარკალუტაში დაბარამობდი. გახსოვს?!

გახსოვს, რავა არ გახსოვს!..
სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის პერიოდში რომ სუბიექტობდი და ვოლუნტარობდი. ჩვენი სულიერი და ხორციელი ცხოვრების კანონებს რომ სუბიექტურად ჭრიდი და ეკრავდი, სხვისი კერძ ძვალსა და რბილს შენ რომ ტკვერავდი. მადა რომ ჭამაში მოგდიოდა და ვერ გჯობნიდა ვერავინ. გახსოვს?!

გახსოვს, რავა არ გახსოვს!..
უძრახობის დროს რომ ძალიან საეკვოდ მოძრაობდი და შენს კლიენტებს — ჩიბიდან დაცვენილ მატრახაზებს რომ ურიგებდი საწყობებს. ბაზებს და ნავთობბაზებს, უანგაროდ თითხაც რომ არ ანძრევდი. მასუთიანებთან რომ გაითქვიფე და დანაწევრდი და ასე და აპრივად აღწევდი. ბლომბლომად რომ გუავედა მარკის აშწევი და პირის მომწმენდი და რისთვისაც უნდა მიგელწია, ამ მაქინაციებით ათას იმდენს რომ აღწევდი, თან ლექსებს, პოემებს, რომანებსა და ესეებს წერდი და მხოლოდ შენ რომ ჭილიმოდა კრიტიკოსივით კალამმომარჯველული ბედი. თან რომ აგეკვიტა და აღარ მოგეშვა დიდი მწერლობის მიზნადეული მირაჟი და ასე უსაშველოდ რომ წარდე და წარდე არა წყალ. არამედ ნიჭგადაწურული წიგნების ტირაჟი. მხოლოდ სათაურებს და თავფურცელს რომ უცვლიდი, ძველს რომ ახლად ახადებდი და მუიდეველს უხირცხვილოდ უწვდიდი. პარტიასა და მის ბელადებს რომ აქებდი და თან ლექსის კითხვისას მუშტს მუჭარით აქნევდი. გახსოვს?!

გახსოვს, რავა არ გახსოვს!..
მერე შენი წიგნებით რომ გაივსო, გაიძემა წიგნის ბაზარი. შენ სულაც არ დაგცემია თავწარი, კვეუნის ყველა მაღაზიის თაროებზე წლობით უძრავად დებული რომ ჩაწვა, ვითა წუნდებული, თანაც რაოდენობით იყო იმდენი, რომ მთელი მსოფლიოც ვერ იყო მისი მუიდეული. შენ არც აციე და არც აცხელი, ისევ და ისევ პარტიასა და მის ლიდერებს მიმართე (მე შენ გითხრა, ვერ მიაგებდი მისამართებს!) და იქიდან, როგორც ყოველთვის, ხელი გაიმართეს — მოგიწვევს შენი წიგნების ბაზროშები — ერთთვიურები, ორთვიურები, სამთვიურები და. საერთოდ, თვიურები დაუსრულებლად!..

შენი წიგნები კომპლით დაურიგეს ყოველ კომლს, მის ყოველ წევრს, იყო ქორფა, უწვერო, თუ იყენებდა წვერს. იყო გონიერი თუ იყო უგნური — წიგნიერი გახადეს ბრიუვიცი, უწიგნიერიც!

შენი ეყარა, შენი იჭქვებოდა და თან გჯეროდა, რომ საქართველოში ყველა ქალბი შენთვის ირთვებოდა! გახსოვს?!

გახსოვს, რავა არ გახსოვს!..

მერე დაიწყო და რა დაიწყო — უკუპროცესი, პერსტროიკა!.. და რომ არავინ არ ელოდა, შენც სხვანაირად აკრულადი, როგორც ტორიკა: კვლავ გეკავა წინა კაცის პოზიცია, თან გემოს უხინჯავდი, როგორც უცხო ხილს, ოპოზიციას. თან პარტიის წინაშე რომ არ გაგეტეხა იხტიბარი უსანქციო მითინგებზე ერთი-ორჯერ ჩუმად გაიპარე! გარდაქმნის მომდევნო წლებში უფრო მომძლავრდა ქართული ეროვნული მოძრაობა და, ვითა ვირი ხბორებში, შენც უკვე

შენ

მეძეულები!

გაბედულად გაერიე ახალ თაობას. ტრიბუნაზე ასულს, პარტიისა და მისი ბელადების მაგიერ, პირზე გეკერა ერთი, ნაცია და საეკლესიო დროში წინ უძღვოდი თითქმის ყველა მანიფესტაციას!.. მერე, როცა უწენაეის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებაზე მიგდა საქმე, ჩემი თავი არ დაგავიწყდეთო, რისხი წამოახვედი და სხვებმა რომ არ ინდომეს, შენი თავი კანდიდატად შენვე დასახედი!.. გახსოვს?!

გახსოვს, რავა არ გახსოვს!..
ის არჩევნები უცაბედად ჩაიშალა და შენი გულმოდგინებით ასე მკვიდრად შეკრული ხარჩევნო ტივიც ჩაიძირა, ხადაც ჩაიშალა.

შენ გაიტვინე, ვითა ეული. აღარც წიგნი გამოეცი და აღარც ტომეული. მათ გამოცემას ვეღარ ბედავდი და ამიტომაც ჩამოყარე ყურები, რომც გამოგეცა. ვიღას უნდა მოეწყო ორთვიურები?
უსაშველოდ მოგიმრავლდა წესდასწავაჭურის მტრები, აღარ იყვნენ მისი წესდასწავა და შენდენ შენი ტომეულების იძულებით მუიდეული დედაბრები!..

ერთი სიტყვით, ბედა ამჯერად სულ სხვა ხმაზე დაგვივლა „უწყლო“!.. თანაც ეს სულ ახლახანს იყო! გახსოვს?!

გულში მოთხრეს, რომ ვანკა-ვსტანკასავით წამოდგო და კვლავ საბრძოლო მწყობრში ჩადგო.

თუ დამიჭერებ, ისე გავიხარე, რომ ლამის სახლკარიანად ავიყარე!

ისიც გავიგე, რომ რომელიდაცა ახალ პარტიას მიეტმასნე, ვითა პოლიტიკური ამინდის პროგნოზისტი, როგორც მაცნე!

კეუის კოლოფი მუავხარ! შენ (გულში ჩაიხედე და თავს მაინც გამოუტყდი!) არ გაინტერესებს არც ერთი პარტია, ოღონდ ძალიან გწადია. მაგ ცვალებად მხრებზე რომ გორმე მორიგო პარლამენტის დეპუტატის მოღურე მანტია!

მჭერა, იმ ბედნიერ პარტიას არჩევნებშიც და მომავალ საქმიანობაშიც ექნება ენერგია უშრეტო, უღვევი, რადგან მის რიგებში, სხვებთან ერთად კი არა, გამორჩევით შენ მეგულები. იცი?!

ელგუჯა მერაბიშვილი



— თქვენი ჭირიმე, ექიმო, ფულის აღებაზე უარს ნუ მეტყვით, ავადმყოფის ამბავი ხომ იცით, უფულოდ ეშინია!..

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

ნახ. გ. ლოლუასი



ჯამაგირი რამდენს გასწვდეს?! —
ეს ფიქრები მაწვალებენ!..
ფული — უფროსს, ფული — გამგეს,
დირექტორს და მასწავლებელს!..
ფული, ფული, ფული ჩქარა!
ყველა ელის ფულის შრიალს!
მოლარე ზის დღეობაზე,
ქელეზშიაც, ქორწილშიაც!..
ხელფასს მაძლევს ბუღალტერი,
წინასწარ ვგრძნობ, რასაც მეტყვის:
„გექვითება სტადიონის,
თეატრის აბონემენტის!“
ფული, ფული, ჩქარა ფული!
საქმე ისე არ დაიძვრის!
ფულს ითხოვენ სამსახურში,
უმალღესში მოწყობისთვის!

უფასებენ, — სამაგს აძლევს,
გადის შმორის სუნიანი,
ცეცხლმოკიდებულ ბაზარზე
ნავთს უმატებს ფულიანი!..
ხარბი გული ვერ გაიძლო,
სასახლეებს ახალს აგებს!..
ფული — ავტომანქანის მძღოლს,
საწყობის და ბაზრის გამგეს!
დღე დამიდგა გულის ურვის —
ჯამაგირი გასწვდეს რამდენს?!
ზოგიერთო, მარტო ფულის
კეთებისთვის დიბადეთ?!

ალექსი აბუცხოვილი
(ს ა ჩ ხ ე რ ე)

საქართველოში

საქართველოს
საქართველოს

ბენზინი არ არის!

ბენზინი არ არის!
და მაინც ქუჩები
სავსეა
ავტომანქანებით! —
მძღოლები მარდები,
შლეგები, ურჩები.
მძღოლები —
ფართო გაქანებით!..

ბენზინი არ არის!
და მაინც პიკია.
პიკია
გვიან საღამომდე!
თანაც სულ ერთია,
დგანან თუ მიქრიან,
წესხა და კანონს
ალარ ცნობენ!

ბენზინი არ არის!
ან არი, ან არა! —
ფიქრობ და
ტანში გაზრიალებს! —
რამდენა
თავხედი, ლოთი და ავარა
ამ წუთში
საქვს ატრიალებს!..



ცოლისდა

რომელ ფევილიდან,
რომელ ცომიდან
გამოცხვა, ნეტავ,
ჩემი ცოლისდა?!

ახლა ცოლისდასაც ვაკითხვითი..

რა პირმა მარგუნა
ახე უაქციო
და უმარიფათო
სიძე?!
ხანდახან მინდა, რომ
სიგანედ ვუაქციო,
ღმერთისგან რაცა აქვს
სიგრძე!..

ცოლის ჩივილი

გაუმართავი ბინა და
გამწამებელი კმარ-შვილი!..
ოჯახის სიტკბო ვინა თქვა?! —
დავდივარ ნერვებაშლილი!..

ქმრის ჩივილი

მოუწყობელი ცხოვრება,
აფრააშლილი ცოლ-შვილი!..
რას მელირება ცხოვრება,
ერთიანად ვარ მოშლილი!..

ოჯახის უფროსი

პროცესებს მართავენ
სხვადასხვა ხერხით,
ზოგაჯერ მთელ ქვეყანას
მართავენ ადვილად!..
რალა მე გამოველ
ახეთი ნეხვი, —
საკუთარ ოჯახში
რომ ვერას გავხდი რა!..

აზარაკი

ის, ვისაც შნო აქვს
და უდგას დახლი,
ავარაკს ქარგავს
ნოხივით!..
... ისე, მეც ჩავდგი
პატარა სახლი —
ბიძია თომას
ქოხივით!..



სიზღარის გახსენება

ნეტავ, სად არის
კიდევ ზღვა,
ჭრელ-ჭრელად
მაწუთიანი,
სწორედ ისეთი, —
როგორც ბათუმთან?!
მოუწყობელი პლაჟები,
შაერი — არც თუმშინი
ეკოლოგია
შენიც გართულდა!..

ბათუმო!
ზღვის და პალმების მხარეო,
ამ ბოლოს
ხვედრი გაქვს მწარეო!
სად არი
ერთი სპონსორი მდიდარი —
ეგებ,
კვლავ დაგიდგეს მზის დარი!..

გახსენების გაგრძელება
იქნება

ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ბენზინი არ არა?! —
გმინავენ ტრასები,
გამონაბოლქვით
დაზაფრული!..
... უველა რომ გარეთ ვართ,
ასობით ასები, —
ალარაკის
გვხურს სამსახური?!

საოჯახო ფორმულები

სიდედრი

სხვებს შევეხები ვიდრემდი,
მინდა, ვახსენო სიდედრი:
ჩემი ერთგული დამცველი
და ერთადერთი მიმხვედრი!



ხელშეკრულება

ზ ლ ა კ ა რ ი

ერთ უღრან ტყეში, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, მრავალი ნადირი და ფრინველი ცხოვრობდა, მწერებს ხომ ვინ მოთვლის (მათ რაოდენობაზე ოფიციალური სტატისტიკა რატომაც დუმს!). იყვნენ თევზებიც, რადგან ტყეში მდინარეები იყო და გუბებიც. ისმოდა დათვის ბურღლუნიც, მგლის ყმუილიც, ირმის ბღვილიც, ტურის ჩხავილიც, ბაყაყის ყოყინიც, კოლოს წულიც, ბუზის ბზულიც, მხოლოდ თევზი იყო ჩუმად და თავის საფიქრალს ფიქრობდა. საჭირო იყო მშვიდობიანი თანაცხოვრება, რათა ყველას შეერთებული ძალით დაეცვათ ტყის სუვერენიტეტი და არც ტყიდან გაეშვათ ვინმე, არც შიგ შემოეშვათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უცხოელ ტურისტებს, რომელიც ეწვეოდნენ ხოლმე ტყის სოკოების მოსაყრფად. ერთ დღესაც თავი მოუყარა ყველას მურა დათემა და, მას შემდეგ, რაც თავში სიყვარულით წაუთათუნა ნადირ-ფრინველებს, როგორც იქნა, ამოღერდა: „ამხანაგებო, საჭიროა, სამოკავშირეო ხელშეკრულება დავდოთ!“ „დავდოთ, დავდოთ!“ — მრავალ ხმაზე შესძახეს ნადირ-ფრინველებმა და შიშით გადახედეს დათვის ტორების მსხვერპლთ: დათუნია ხომ ზოგიერთ ტყის ბინადარს ზედმეტად ენერგიულად მოეყარა და სული გააცხებიან!..

— შე ფედერაცია ვარ! — განაცხადა დათუნამ, — ხოლო თქვენ ფედერაციის სუბიექტები. თქვენ ჩემთან დებთ ნებაყოფლობით სამოკავშირეო ხელშეკრულებას და თქვენი უფლებების ნაწილს გამომცემთ. ამ უფლებებს ისევ თქვენს საკეთილდღეოდ გამოვიყენებ. ამავე დროს თქვენ იქნებით ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებელნი!.. ჰაიტ! არ გაუშვათ, ხად მიიპარება?! — შეწყვიტა სიტყვა დათემა. გულმოდგინე ნადირებმა ისევ წრეში შემოათარეს ციყვი, რომელიც კავშირიდან გასვლას ლამობდა. დათუნია უკვე დემოკრატი გამხდარყო, ამიტომ დამნაშავეს თავ-



ნ.ხ. შ. აბაშვილისა



ში არ წაუთავა, მხოლოდ უკმაყოფილოდ წაიბურღლუნა და სიტყვა განაგრძო:
— ამრიგად, თითოეული თქვენგანი სავსებით სუვერენულია. ნება გეძლევათ, თქვენი შეხედულებისამებრ მიირთვათ, რასაც ბუღინა გვაძლევს. ოღონდ ჭამის დროს არ უნდა დაგავიწყდეთ ფედერაციული ინტერესები. ყველამ ერთად უნდა მოაგროვოთ ხალახი, თხილი, ხორცი, თაფლი, არ გამოიჩინოთ კერძომესაკუთრული მიდრეკილებანი და მე შემდეგ ცენტრალიზებულად დაგირიგებთ სურსათ-სანოვარეს! ვიცო, ნებაყოფლობით გადაწყვეტილი გაქვთ, რომ შემოსავლის ოთხმოდდათი პროცენტი გადმოირცხნოთ ჩემს ბიუჯეტში, რადგან ყველას გინდათ, რომ ღონიერი ვიყო, რათა ჩვენს ტყეში ვერავინ შემოხედოს! ამის გარდა, მე თქვენს საძოვრებში და სამონადირეო ადგილებში, მოგხსენებათ, ფედერაციული საკუთრებაც მაქვს, რომელსაც მთლიანად გადაველაპავ! ესეც თქვენი სიკეთისთვის ხდება! თქვენთვის ხომ საყოველთაოდ მისაღებია პრინციპი: „ძლიერი დათვი — ძლიერი ციყვები!“
— მეე, შეე, მეე!.. — დაიწყო პეტელი ბეკეამ, — მეე რომ ხორცს არ გეხალბებით. როგორ უნდა მოვაგროვო საერთო-საკავშირო საწყობში ეს საზოგადოება?
— ვაახ, ჩემი გული ვჭამე! — შეუღრინა და კინალამ კბილი გაკარა მგელმა, — ვერ მოაგროვებ და, საკუთარ ბარკლებს დააწყობ ლანგარზე! მე ვიკითხო, თორემ შენ რა გიჭირს! სად ვწიწკნო და დავაწვიხო ბალახ-ბულახი?!
— აბა, აბა, ბა-ბა-ბა-ბა! ეგეთები არ იყოს! — აბუზლუნდა დათუნია, — მე თუ ბალახ-ბულახსაც გეხალბებით, ხორცსაც, თხილსაც და თაფლითაც პირს ჩავიკოკლო-ზინებ, თქვენ რა წითელი კოვები გამოიხვედით?! დაიმახსოვრეთ: ყველანი ნებაყოფლობით ხართ ფედერაციის სუბიექტები და ამიტომ თქვენთვის მთავარია ერთიანობა და არა სეპარატისტული მისწრაფებანი!
დათუნის მოწოდებას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა, გაისმა მგლების წული, ციყვების ყმუილი, ტურის ყიყინი და ბაყაყის ბღვილი!..

— აბა, აბა, ბა-ბა-ბა-ბა! ეგეთები არ იყოს! — აბუზლუნდა დათუნია, — მე თუ ბალახ-ბულახსაც გეხალბებით, ხორცსაც, თხილსაც და თაფლითაც პირს ჩავიკოკლო-ზინებ, თქვენ რა წითელი კოვები გამოიხვედით?! დაიმახსოვრეთ: ყველანი ნებაყოფლობით ხართ ფედერაციის სუბიექტები და ამიტომ თქვენთვის მთავარია ერთიანობა და არა სეპარატისტული მისწრაფებანი!
დათუნის მოწოდებას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა, გაისმა მგლების წული, ციყვების ყმუილი, ტურის ყიყინი და ბაყაყის ბღვილი!..

ს ა კ ც ი ვ ი ტ ე რ ი

სადღისო ქაქარობა

- დ ე მ ო ნ ს — დ ა ფ ნ ა !
- დ ე მ ო ნ ს — ლ ე ქ ს ი !
- დ ე მ ო ნ ს — ვ ა შ ა !
- დ ე მ ო ნ ს — ტ ა შ ი !
- დ ე მ ო ნ ს — ძ ე გ ლ ი
- უ რ ი დ ე ს ი !..
- ბ ო ლ ო ს —
- ძ ე გ ლ ი ს
- დ ე მ ო ნ ტ ა უ ი !

აპთანდელ გურგენიძე

საბჭოთავო და იუგოსლავი
კურსული „ნიანგი“ №20
(1822). ოქტომბერი. გამო-
თის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
კაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბართაია, რევაზ თვარაძე,
ჯემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი). ნოდარ მალა-
ზონია, ალექსანდრე სამსო-
ნია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე). ჩანსულ ჩარკვი-
ანი. თამაზ წიფწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ლუნდუა

გადაეცა ასაწყობად
20. 09. 90 წ. ხელმოწერი-
ლია .დასაბეჭდად 22. 10.
90 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიზიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1.5. სააღ-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1.9. საქართველოს კ-
ციის გამომცემლობა,
მ. კოსტავას ქ. №14. შეკვ-
№ 2048. ტირაჟი 125.000.
ეურნალი გამოდის თვე-
ში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი №42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, კ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების—
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მე მანქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке). Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаель-
ство ЦК КП Грузии,
ордена Трудового Крас-
ного Знамени типогра-
фия издательства ЦК
КП Грузии. Тбилиси,
ул. М. Коставы № 14.

ფაბი 20 კაბ.

ინდექსი 76187



საქართველო კაცს მან აღმართვი მიეძინა!..

ზაურ ბოლქვაძის

